საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 950-02
03/05/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან აკადემიური პერსონალისათვის ერთ ვაკანტურ ადგილზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან, წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 3 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში;
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2017 წლის 10 მაისამდე მიაწოდოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა სია, პირადი ნომრის მითითებით;
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 19 მაისს;
7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი